№ 22 (46) 1931 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა



დამკვრელი მუშები—ლენინის პარტიაში

ზც-ის სახ. ქარხნის მუშები განცხადებას აძლევენ უჯრედის მდივანს პარტიაში მიღების შესახებ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

დ-76

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.

## საბჭოთა სომხეთის არსებობის 10 წელი



ძორაგესის მშენებლობა

# წითელი კუთხე

(ნაწყვეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის წითელი კუთხის პატარა დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა. მუშები თითო-თითოდ და წყვილ-წყვილად შედიოდნენ.

ჭერზე და ლურჯ ფარდა-ჩამოფარებულ ესტრადის თაღზე განვლილ დღესასწაულის დარჩენილი ფერადი ქაღალდის გირლიანდები ფერად ელექტრო-ლამფებით იყო განათებული. წითელი და ლურჯ ფერის შერეულ შუქს შუაჭერში დაკიდებულ ლამპრის თეთრი შუქი ებრძოდა; მთრთოლიარე სინათლე დარბაზს ავსებდა და ბელადების სურათების შუშებზე კრთოდა. ფანჯრებში კი საღამოს შავი ცა იცქირებოდა.

ამ შუქით გატენილ ჰაერში დინჯად შემოცურდებოდა ხოლმე რევოლიუციის დროს შემოღებული ქუდები, ზოგი ამაყად ამართული, ზოგიც შუბლზე დაწეული, ლენინკები. შიგადაშიგ გამოჩნდებოდა თბილისელი მოქალაქის საყვარელი ძველებური კარტუზები, გაქონილი, გაოფლებული, ნაამდგარი. ამ ყაიდის ქუდებმა ერთ დროს უწინდებური ყარაჩოღული ქუდების ადგილი დაიჭირა, მაშინ, როცა ცხვრის ტყავი გაძვირდა და ფართალი ქარხანამ გააიაფა. იმ დროს ეს კარტუზები ახალი მოვლენა იყო, ახლა კი კეპებ შორის უჩვეულოდ ეხამუშებოდა, არქაულად ეჩვენებოდა. თითქოს სცხვენიათო, ეს ქუდები დარბაზის კარებშივე დინჯათ ჩამოსცურავდენ თავიდან და ელექტრო შუქზე მორცხვად მოლაპლაპე მელოტი ჩნდებოდა. ამ ქუდების პატრონთ, ძველი თბილისის ჩვეულებისამებრ სატინის ხალათზე ფინჯაკები ან საზაფხულო პალტოები ეცვათ. ახალგაზრდა მუშებს კი პლაშჩები ან პალტოები შვენოდათ.

თბილისელ ძველ მუშებს ძველი თბილისის იერი ისევ შერჩენოდათ.

მოსულნი ხის გრძელ სკამებზე დინჯად სხდებოდენ და მოთმინებით იცდიდნენ.

რაც უფრო მეტი მუშა შემოდიოდა დარბაზში, მით უფრო მეტად ხმიანი ხდებოდა. პირველად დაწყებული ჩურჩული, ნელ-ნელა გუგუნად იქცა და ბოლოს დარბაზში ხმაურითაც, შეგროვილთა სიმრავლითაც ფუტკრის სკას დაემსგავსა. წითელ და ლურჯ შუქით შეღებილ ჰაერს თამბაქოს ბოლი შეერია. ჰაერი დამძიმდა.

ქშენა, სტვენა და გრიალი მოისმოდა კედლიდან. ორი ძლიერი ორთქლმავალი გაქანებული გარბოდა. ორივეს სიმძლავრე და მედიდურობა მიჰქონდა, სიმძლავრე და მედიდურობა ინდუსტრიისა. თვლები გამალებული სისწრაფით ლიანდაგზე სრიალებენ და ორივე მანქანას მტვერი და ქარი დაუყენებია. ორივე გაჯიბრებულან, ამაყები, უდრეკები, შავი წინ არის, ერთი ბიჯით არის წინ. წითელს კი დაუჭიმავს ძარღვები, კუნთები, ისწრაფის, აჰა, საცაა დაეწევა! ვინ მისცა ამ ქაღალდს, კედელზე გაკრულს, ტემპების ასეთი გამოხატულობის უნარი, ვინ ჩაუდგა სული ამ ორ ორთქლმავალს, ასე სამკვდრო სასიცოცხლოდ, გაჯიბრებულებს? ვინ განასახიერა ჩვენი დროის მაჯის ცემა! საქვეყნოდ, დასანახად გაკრულია ნახატი — ფოტოგრაფიული სურათი ტემპებისა, სიჩქარისა, მსოფლიო შეჯიბრებისა. ამ ქაღალდზე სულჩადგმულია ძახილი: დავეწივნეთ, გავუსწროთ.

აგერ დიდი, ახოვანი წითელი აჩრდილი მუშისა, დიდ ურომზე დაყრდნობილი, ორივ ფეხით დაპლაჯებია დედამიწას. დედამიწა მას ფეხ ქვეშ აქვს. მრისხანე სახით, დაჭიმულ კუნთებით, უდრეკი დაყურებს მსოფლიოს, თითქოს თვალს ადევნებს გაჯიბრებულ ორთქლმავლებს. „ან სიკვდილი, ან უნდა დავეწივნეთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც“. ამ ლოზუნგს ქადაგობს ეს წითელი აჩრდილი.

ლოზუნგებით და პლაკატებით აჭრელებული ოთახი კი ივსება ხალხით, ივსება და თამბაქოს ბოლიც მატულობს, მატულობს გუგუნი შეკრებილებისა.

—ამხანაგებო! პაპიროზის წევა მოშალეთ.—ისმის ძახილი. მაგრამ ვინ მოახერხებს თავის შეკავებას! კრების დაწყების მოლოდინში მაშ რითი გაართონ თავი, რით მოკლან დრო, რას გადააყოლონ გული?!

სადღაც, ოთახის კუთხეში, უპოვნიათ ადგილი და ორი-სამი ჯგუფი თავს ადგას ჭადრაკის დაფას, მაგრამ ეს ხომ ყველას ვერ დააკმაყოფილებს.

უჯრედის ბიურო ლურჯ ფარდის ძირში შეგროვილა და კრების ჩასატარებლად ემზადება. მათ აღელვებთ შეგროვილი ხალხი, გუგუნი მისი. გრძნობენ კრება ცეცხლიანი გამოვა, მქუხარე.

თიკო სკამზე შესდგა, ხელი გაიქნია და დაიძახა:

ამხანაგებო!—დამსწრენი ერთბაშად გაჩუმდნენ, გუგუნი შესწყდა, თითქოს მანქანას ელექტროდენა შეუწყვიტეს და ისიც ერთბაშად გაჩერდა.

—ამხანაგებო! როგორც ვხედავთ ამ ოთახში ვერ დავეტევით. კრება საამქროში გადავიტანოთ.—სთქვა თიკომ.

—რატომ თავიდანვე იქ არ დანიშნეთ კრება?—შესძახა ვილაცამ.

—ვერ მოვითიქრეთ. არ გვეგონა, თუ ამდენი ამხანაგი მოვიდოდა.

— ეს ტყუილ-უბრალო წვალებაა ხალხისა. მოფიქრება სადა გქონდათ. —უსაყვედურა მეორე მუშამ.

—ახლა რა გინდათ, ამხანაგებო, ხომ ვერ ჩამოგვახრჩობთ. მართალია, ჩვენი შეცდომაა. მოვტყუვდით. გთხოვთ გახვიდეთ საამქროში, იქ უფრო სუფთა ჰაერია..

ახმაურდენ. სულაცარ მოეწონათ. დალაგებული, დადინჯებული ლოდინი კრებისა აეწეწნათ, აშლილიყვნენ. ყველა თავისას ამბობდა.

—წავიდეთ, წავიდეთ, ბიჭებო! უჯრედის ბიუროს შეცდომა მოსვლია. ეხლა მისი გამოსწორება სურს. ვინც არას აკეთებს, არც შესცდება.

— მირავოია!—შესძახა ვილაცამ.

თიკომ იცოდა, მუშები „მირავოის“ მეძახიანო, მაგრამ არა სწყინდა: იცოდა, ამ სიტყვაში დაცინვა არ იყო.

—აბა. გადით.—აჩქარებდა თიკო.

—ერთი წელიწადიც არ არის. რაც აქ მოვიდა და ხელდახელ „მირავოი“ გახდა.—წაილაპარაკა ვილაცამ.

—ჩქარათ, ამხანაგებო.—არა სცხრებოდა თიკო.

მთელი კრება ერთბაშად დაიძრა ადგილიდან, ერთბაშად აიშალა და ტრანსმისიის ხვიდასავით კარებისაკენ გაიჭიმა.

—სკამები თან წაიღეთ, ამხანაგებო!—ერთი კიდევ დასძახა თიკომ და სკამიდან ჩახტა.—უჰ! როგორები არიან! ერთი ბეწვა შეცდომას არავის აპატიებენ.—ჩაილაპარაკა თიკომ ჩახტომისას.

—ეგრე უნდა.—უპასუხა უჯრედის მდივანმა, რომელმაც ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, უპასუხა და თვალებში შეხედა ქალს.—შენ კარგად იცი, მოხერხებულად: ეთანხმები კრებას და თან განაგებ ხოლმე.—დაუმატა მან.

ჰაერში აიმართა სკამები, ზოგი მარელისისა, ზოგი უბრალო ხისა. გრძელები. აყირავებულ სკამების მაღლა აშვერილმა ფეხებმა მთლად დაფარა მიმავალ მუშების თავები. აქლემის კისერსავით ქანაობდა, ლივლივებდა ჰაერში აშვერილი სკამები და ხელები დარბაზიდან კარში გადიოდა.

**იოსებ ტატიშვილი.**



კასპის ცემენტის ქარხნის საუკეთესო დამკვრელი ბრიგადა და მათი ბრიგადირი ამხ. ბრატულიგი.

# ენთუზიასტები

ამ ქარხანაში
გულგასახარად
ვხედავ: უამრავ
ენთუზიასტებს.
მათით დიადობს
დღეს ეს ქარხანა
და მათივე აქვს
ტემპნი — მზიანი!..
ალბად:
მკერდები კლდეერკინებია!
შრომაში დაღლა,
რომ არ იციან!
შრომას ხალისით
ეკიდებიან,
მუდამ ებრძვიან:
ფიქრებს — წინსვლიანს.
და... დასცინიან:—
ვინც უიმედობს,
ვისაც გულხელი
დაუკრეფია,
მათზე ამბობენ:
დაე, იყბედონ,
ჩვენ კი:—
ხალისი არ დაგვკლებია!..
და... მუშაობენ:—
თავგამეტებით!
სჭექს:—
ცეხები და
სამქროები,
მანქანებივით
გრგვინავს მკერდები—
გადამლახველონი
ზღვა დაბრკოლების!
სჯერათ:—
ამგვარი შრომით მალე რომ
სოციალიზმიც
დავაჟქაცოიბა!!
ამიტომ უნდათ: —
არ შეანელონ,—
ქარხნის ტემპები
და
აღტაცება!...

შალვა შამფრიანი.



ტრამვაის. მუშამ ამხ. აგულკოვსკიმ გამოიგონა ახალი აპარატი ვაგონების სარეცხად. სურათზე—გამომგონებელი თავისი აპარატით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრისხანე მთა

(ნაწყვეტი)

ორი დღე-ღამე გაატარეს სადარაჯო შენობაში. შეუძლებელი იყო გზის გაგრძელება: ქარ-ბუქი აღშფოთებული გრიალით განუწყვეტლივ არახუნებდა კარებს, შეუპოვარი სიძლიერით ეხეთქებოდა კედლებს და აწიოკებული ხევებში იჩეხებოდა.

ზოგჯერ ღამესავით ჩამობნელდებოდა; მაშინ ყორნები გზა-აბნეულად ფრინავდნენ. პირქუში მთების მიდამოებში ქარი იწყებდა ზრიალს და ღრუბელთა ბიბინს. მოღუშული სახის ბუნება, ზარმაცად რომ გამოიყურებოდა—სწრაფად იცვლიდა სახეს: გამხეცებული თხრეშობდა და მრისხანედ სჭექდა.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ კი — წამოუქროლა ქარიშხალმა, ღრუბლები დაფხრიწა და მოგზაურები დააბარგანავა. ამოვარდა ქარ-ბუქი... ქარი ბიჭებს თოვლს აყრიდა ოფლიან სახეზე და თვალებს ახუჭვინებდა.

შეჩერდნენ... დაიბნენ... მიბნედილ თვალებს აელვარებდნენ...

ამაო იყო კივილი, რომელსაც ბრაზიანი ქარი ყრუ სიშორეში იტაცებდა.

მაღალ სივრცეში იყო ღრუბელთა ორომტრიალი და ღრეობა...

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კედლები განათლდა. მეგობრები საუბრობდნენ:

— კომკავშირელი ხარ?

გისო დაიბნა... ვერ გაიგო.

— არ იცი რა არის კომკავშირი?!

— არა. მე ზაკონებისა არა ვიცი რა და... სულ მოჯამაგირედ ვიყავი. სად მომაცლიდა ხაზეინი მაგეებისათვინა რომა...

გიორგი გაოცებული იყო, როდესაც მოისმინა გისოს ნაამბობი: 11 წელი მოჯამაგირედ გაუტარებია მუხრანში—კულაკთან. ეხლა პირველად (და სამუდამოდ) ბრუნდება თავის სოფელში ხელცარიელი, რადგანაც „ხაზეინმა“ არაფერი მისცა. თანაც

## დნეპროსტროის მშენებლობა



მშენებლობის ერთი ნაწილი

ზევრჯელ გადასწყვიტეს წასვლა. ერთხელ გაბედეს კიდეც, მაგრამ კინაღამ დაიღუპნენ. ეს შემდეგნაირად მოხდა:

გისომ, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამინდს, გიორგის განუცხადა, რომ წასვლა შესაძლებელიაო. აჩქარებულნი გაუდგნენ გზას. გახარებულნი იყვნენ, რომ ამინდი დაწყნარდა... ღრუბლებში გახლართული მზე სუსტად ანათებდა მაღალი მთების ყინულოვან მწვერვალებს. რუხი ღრუბლები ტლანქად მიილაჯებოდნენ, ბანჯგვლიან მხეცებივით, ხოხვით მიუახლოვდნენ ერთმანეთს, თანასწორი სიძლიერით დაეტაკნენ და დიად ტალღასავით რხევით აისვეტნენ დაუსრულებელ სივრცეში.

მდეგ ისინი აშკარად მიხვდნენ, რომ „გვერძნეთის“ *) თავზე იყვნენ.

ძირს ჩაიხედეს. მოჩანდა: საშინელი, ჯოჯოხეთისმაგვარი, უფსკრულისებური ხეობა. პიტალო კლდე — ძირს, ძალიან შორს, სადღაც უსაზღვროებაში იკარგებოდა... ორივეთ ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

უკან დაბრუნდნენ. გზის გაგრძელება სახიფათო იყო.

ორს დღეში მჭიდროდ დამეგობრდნენ. დროს საუბარში ატარებდნენ— პაპიროსის ნდომა და სიმშილი აწუხებდა ორივეს.

საღამოთი გიორგიმ ცეცხლი გააჩაღა ბუხარში. პატარა შენობის ბნელი

გააფრთხილა, რომ ყველასთან ისე ეთქვა, ვითომც შვილად იყო მასთან და არა მოჯამაგირედ. „სულ მამუშავებდა. არც რამე მასწავლა იმ მამაძაღლმა“...

— მიკვირს—როგორ მოუხერხებია შენი ასე დამალვა. მაგრამ არაფერია, ყველაფერი გაკეთდება.

გისო შემკრთალი უყურებდა გიორგის, რომელმაც ბლოკნოტში ჩაიწერა: „შალვა ყირმიზოვი. მუხრანი. მოჯამაგირედ ჰყავდა გისო კოკაევი“.

— კომსომოლისტი არ გაგიგონია? — ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ გიორგიმ.

— როგორ-არა; მუხრანშიაც იყვნენ.

— ჰო-და, კომსომოლისტს კომკა-

*) გვერძნეთი—სალი კლდეა გუდაურის მახლობლად საქ. სამხ. გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რიონჰესი—მძლავრი ექსკავატორი**

ვშირელი ჰქვიან. გინდა რომ ჩაეწერო?

— ჰო. როგორ-არა, აუცილებლად.

გისოს სახე უბრწყინავს. უყურებს მოხევე გიორგის, რომლის თვალებშიაც მეგობრული ცეცხლი ღვივის. არ სჯერა, რომ ეს მოხევეა. ან კი როგორ შეიძლება... მოხევე ოსს (გისოს გიორგისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ გაქართველებული ოსი ვარო) განა ისეთ მეგობრობას გაუწევს..

— რატომ არიან მოხევეები ოსებთან მტრულად განწყობილნი?

— ის დრო წავიდა ჩემო გისო... აი, შეხვალ კომკავშირში და ყველაფერს შეისწავლი.

გისომ მღელვარება ვეღარ დაფარა. გულში ცეცხლივით რაღაცა გაღვივდა და მკერდს ბაგა-ბუგით ეხეთქებოდა... უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი გიორგის.

— : —

მთვარის მკრთალ შუქზე თოვლი სპილენძივით ლაპლაპებდა. დასავლეთისაკენ ღრუბელთა შუა დატყვევებულივით აღმართული იყო მაღალი თოვლიანი მწვერვალი. აღმოსავლეთისაკენ ნელი რხევით მილოლავდა ღრუბელთა ფარა. მთა იმშუშნებოდა... ირგვლივ მდუმარებით მოცულ მიდამოს, მხოლოდ ნადირთა გულშემზარავი ღმუილი სერავდა, რომელიც დრო-გამოშვებით მოისმოდა შორეული მთებიდან.

თენდებოდა... მთვარის სუსტ სინათლეს განთიადი სცვლიდა...

ამ დროს გაჭრიალდა თოვლში ჩაფლული პატარა შენობის კარი და შიგნიდან გამოსული მოგზაურები გაუდგენ გაუკვალავ გზას. მათი ფეხები ღრმად ეფლობოდა თოვლში.

კარგა გზა გაიარეს...

მათი ყურადღება მიიპყრო უეცარმა გრიალმა, რომელიც მეხის ხმას ჰგავდა.

მქუხარე ხმა გუგუნით გადაეცა მთიდან-მთას, ხევიდან-ხევს.

შეშინებული მეგობრების სხეულიც გაიჟონა ამ გუგუნით.

მალე დაინახეს ხმაურობის გამომწვევი მიზეზიც: ზვავი გაღმა მთიდან წყალვარდნილის სისწრაფით, ვეშაპივით დაეშვა.. კლდეს დაეჯახა, უკუ იქცა და მყუდრო სივრცეში გრგვინვა გაიღო... მიდამო შეინძრა... მთიდან უკუ-ნაქცევი ზვავი სივრცეში შეტორტმანდა, კლდეზე აქუხებულ მდინარესავით გადაეშვა და ხევში გაწვა.

ამოვარდა ძლიერი ქარ-ბუქი... ღრუბელთა ფარა აირია.. დაკოდილ მხეცივით აღრიალდა გაშმაგებული ბუნება... ანჩხლი ქარი ისრის სისწრაფით, ბზრიალით, დასრიალებდა.. დაიწყო ბუნების ძალთა ხელჩართული ბრძოლა... შესაზარი ხმაური თანდათან ძლიერდებოდა... ცაში ღრუბლები მეტეორებივით ქროლავდენ. ირგვლივ ისეთი გრიალი იყო, თითქოს ცაში აწვდილი მთები აღრიალებულანო.:. ჰაერში ალბათ მფეთქავი ნივთიერება შეგუბდა, რომელიც აფეთქებდა და ქარ-ბუქი გადმოანთხია... ღრმა ხევებში კი ზვავები ბორიალობდენ...

ეს იყო უმწვერვალესი და გამძაფრებული რისხვა ბუნებისა. მრისხანე მთის მკაცრი შფოთვა...

— გადარჩებიან ვითომ?

მაგრამ მეგობრები მხნედ მიაბიჯებენ თოვლის კორიანტელში.

— მარტოკა კაცის გადარჩენაა ძნელი, თორემა... როცა ერთგული მეგობარი ჰყავს კაცსა.. — ამბობს თოვლის კორიანტელში გახვეული გისო.

— მართალია ჩემო გისო. ყოველგვარ საქმეში და ბრძოლაში, საჭიროა ერთგულება და კოლექტიური ძალა... —ამის შემდეგ კიდევ რაღაცა სთქვა გიორგიმ, მაგრამ გისომ ვერ გაიგონა, რადგანაც ქარი იტაცებდა ბგერებს.

უკვე უახლოვდებოდენ სოფ. კობს. ამინდი წყნარდებოდა...

გაჩრიოკებული თეთრი მთები მოგვაგანებდათ ბრძოლებ გადახდილ მოედანს.

ვ. შადური.

# გაუმარჯოს საბჭ. სომხეთის არსებობის 10 წლ. თავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სომხ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გაბრიელიანი



სომხ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ხანჯიანი



სომხ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ქასიანი



## საბჭოთა სომხეთს

ეხლა აღარ გრძნობ მწარე ტკივილებს,
მოშუშული გვაქვს ის იარები;
შური და მტრობა ვერას დაგაკლებს,
სწრაფის ნაბიჯით წელში მაგრდები,
შენს აშენებას, შენს დამშვენებას,
ხელს უწყობს ყველა საერთო ძალით;
და თუ გაბედავს ვინმე შენს ვნებას,
დაატყდებიან რისხვით და ზარით!
წამებულს, ტანჯულს, დღეს თავისუფალს
არარატის მთა დაგყურებს, ხარობს;
უტყვი მოწამე შენი წარსულის
გრძნობით ნეტარებს რომ ბედი გწყალობს.
აშენებლობის გზაზე შემდგარხარ
ფრთა გაგიშლია, მიექანები;
რაც ყოფაც გქონდა, დღეს ის აღარ ხარ
დღე დაგდგომია სანეტარები.
შენს არემარეს სისხლით მიმორწყულს
დაეუფლება შრომის დიდება;
ძორჰეს, ჰიდრო შენ! და სხვა მრავალი
ელსადგურები შენში შენდება.
ალი კლდის ნაკვეთ შენსა წიაღში
წარმოებანი მძლედ აჰყვავდება;
და ცეცხლის ალში, ლითონთ ჟღრიალში
მშრომელი ხალხი მხნეობს, კაჟდება!

შაქრო ნავთლუღელი.





ზევით—ძორაჰესის მშენებლობა. ქვევით— ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უვიცობა—მტერია საბჭოთა ხელისუფლების

## არზა და ხბო

წინათ, თვითმპყრობელობის დროს, სწავლა მხოლოდ „რჩეულებს“ შეეძლოთ.

რჩეულებათ კი ითვლებოდნენ თავად-აზნაურების, მღვდლების, ვაჭრების და ბობოლების ნაშიერნი.

ღარიბ მუშებისა და გლეხთა შვილებისათვის სკოლის კარები დახშული იყო. მათთვის მარტო ანბანის სწავლაც მიუწვდომელ ოცნებას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით უვიცობა ფლობდა სოფელს.

უბრალო, მოსაკითხ ბარათის წამკითხველს, ან დამწერს, თემიდან თემში ეძებდნენ.

არზის „გამოთქმაში“ ხბოს აძლევდნენ და „მოსე მწერლების“ თითო სიტყვა ოქროთ ფასობდა.

გონება დაჩაგრული გლეხები თავის სოფლის იქით ვერაფერს ამჩნევდა და მისი სკოლა ეკლესია იყო, სადაც მას ზედაშესთან ერთად შხამსასმევდნენ ღვთის სახელით, რომ მარტო საიქიოზე ეფიქრა და მორჩილებით ეძლია ხარკი მუქთახორებისათვის.

ქალაქად კი ცოდნას მოწყურებული უსწავლელი მუშები თვითონ ხსნიდნენ „საკვირაო სკოლებს“, სადაც ისინი ითვისებდნენ რევოლიუციონურ იდეებსაც და ამიტომ თვითმპყრობელობის დამქაშები ასეთ კერებს გაჩაღებისთანავე აქრობდნენ.

არც მენშევიკურ მთავრობას უზრუნია სახალხო განათლება ხალხისათვის მისაწვდომი გაეხადა. მაშინაც სკოლებზე მეტი ეკლესიები იყო.

## არც ერთი უცოდინარი

მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მიეცა სკოლას ნამდვილი ხალხური ხასიათი.

კომუნისტურმა პარტიამ იცის, რომ მუშებმა და გლეხებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალ ქვეყნის მშენებლობაში, თავი დააღწიონ ძველ, მავნე ადათებს, ნათლად წარმოადგინონ და გაერკვენ მათივე საკუთილდღეოთ მიმართულ ხელისუფლების ღონისძიებებში, უპირველესად საჭიროა ისინი იქცნენ შეგნებულ ადამიანებად, შეეძლოთ კითხვა და წაკითხულის გაგება.

— უვიცობა—მტერია საბჭოთა ხელისუფლების!

ეს ლოზუნგი არ ყოფილა ისე ზერელეთ წამოსროლილი ფრაზა. პარტია და ხელისუფლება თავიდანვე მტკიცედ შეუდგნენ ამ „მტრის“ წინააღმდეგ ბრძოლას.

წ.-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ ათასობით მოეწყო ლიკპუნქტები, სადაც წ.-კითხვა ისწავლეს და სწავლობენ მოხუცებიც კი.

დაზგებიდან და ყანებიდან დაბრუნებულნი ბავშვებივით იტეხავენ ენას და დაკოჟრებულ თითებით უჭირთ კალმის მოსმა, მაგრამ გახარებულნი იმით, რომ ამიერიდან თავიანთ გვარს აღნიშნავენ არა ჯვარით, არამედ ხმოვანი, გარკვეული ასოებით, — ჰასაკისათვის შეუფერებელ, იშვიათ ბეჯითობას იჩენენ.

საბჭოთა ხელისუფლება არ იშურებს ძალას, რომ დასძლიოს საუკუნოებით ხალხში ფესვგამდგარი უვიცობა, წინსვლის მბორკავი ჩვეულებანი და ზნენი. ამიტომ სკოლებთან და ლიკპუნქტებთან ერთად, მივარდნილ სოფლებშიაც, სადაც ადრე მღვდლებმაც არ იცოდნენ ხეირიანად წერა-კითხვა, გაიხსნა და იხსნება სამკითხველოები, საექიმო პუნქტები, გაყვანილი იქნა გზები და მოეწყო კლუბები.

რადიოს, უკეთ, მგალობელ უსულო ფრინველს, როგორც მას ეძახიან გლეხები, შეუწყვეტლივ მიაქვს მთელი ქვეყნის ამბები სოფლად და აფხიზლებს ქოხებს.

დღითი - დღე მცირდებოდა მოზრდილთა შორის უცოდინართა რიცხვი, მაგრამ თანვე ჩნდებოდა უცოდინართა ახალი ტალღები, რასაც იწვევდა სკოლების საჭირო რაოდენობით უქონლობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ ხანებში ვერ შესძლო ბავშვთა მთელი მოსახლეობის მოთავსება სკოლებში და ეს გარემოება შეუძლებელს ხდიდა წ.-კითხვის უცოდინარობის სავსებით მოსპობას.

ამას გრძნობდნენ თვით გლეხებიც და გადასწყვიტეს დახმარებოდნენ მთავრობას ახალ სკოლების გახსნაში. მრავალი სკოლა იქნა აგებული თვითდაბეგვრის გზით. მღვდლების თვალთმაქცობაში სამუდამოთ დარწმუნებულმა და გათვითცნობიერებულმა გლეხობამ ეკლესიებიც კი სკოლებათ აქცია და იქ სადაც წინათ საკმევლის სუნი აბრუებდა ხალხს, დღეს იზრდებიან ახალი ადამიანები, სოციალისტურ მშენებლობის ენთუზიასტები და ციწაზე „საძოთხის“ დაკვიდრებისათვის მებრძოლნი.

ამ რიგად მრავალი ბავშვი ეღირსა ხელში წიგნის დაჭერას, მაგრამ ბევრი მაინც გარეთ დარჩა და აი საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა

## საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღება.

კ. პ. (ბ) მე-16 საკავშირო ყრილობამ მტკიცე დირექტივები მისცა სათანადო ორგანოებს მიეღოთ დაკვრითი ზომები, რათა 1930-31 წლიდან არც ერთი ბავშვი არ დარჩენილიყო სკოლის გარეთ.

აამოძრავებული იქნა ყოველი ორგანიზაცია და მთელი ძალ-ღონის დაძაბვით დაიწყო ამ უდიდეს პოლიტიკურ - კულტურულ ლოზუნგის განხორციელება.

საქართველოში, უკვე სკოლებში მოთავსებულია სკოლის გარეთ დარჩენილი 100.000-ზე მეტი ბავშვი. ბევრ ალაგას წელსვე აგებული იქნა სკოლის ახალი შენობები, ზოგან სკოლების ბინებათ გამოყენებულია თავადებისა და კულაკებისაგან ჩამორთმეული სახლები.

პირველდაწყებითი სკოლებში მიღებულნი არიან ბავშვები, მიუხედავათ მათი სოციალური მდგომარეობისა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღარიბ ბავშვთა მომარაგების საქმეს. მათ უფასოთ ეძლევათ ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ცხელი საუზმე; სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

მიღებულია ზომები მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად. ისინი გათანაბრებულნი არიან მუშებთან და სარგებლობენ მათთვის დაწესებულ ყოველგვარ შეღავათებით.

ცხადია, ასეთ დიდ საქმეს თან სდევს დიდი დაბრკოლებებიც, მაგრამ ისინი დაძლეულნი იქნებიან მშრომელთა იმ ერთსულოვანი აღფრთოვანებით, რომელსაც ისინი იჩენენ სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე.

## სკოლა - ქარხანა. სკოლა - კოლექტივი

ძველი სახით არსებული სკოლები იძლეოდნენ მხოლოდ ჰუმანიტარულ, ზოგად ცოდნას, რომლის მიღების შემდეგ ახალგაზრდობას საშუალება არ ქონდა ხელი მოეკიდა გარკვეულ კვალიფიკაციის სამუშაოსათვის. საჭირო ხდებოდა მათი დამატებით მომზადება, რაც ზედმეტ ხარჯებთან ერთად, იწვევდა სოციალისტურ მშენებლობისათვის საჭირო კადრების თავის დროზე მიწოდების შეფერხებას.

ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობამ სკოლებშივე მიიღოს პრაქტიკული ცოდნაც, გადაწყდა საყოველთაო - სავალდებულო სწავლებასთან ერთად გატარებულიყო სკოლების პოლიტეხნიზაცია.

სკოლების პოლიტეხნიზაცია მიზნათ ისახავს მოამზადოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის კვალიფიციური მუშაკები. ამიტომ წელს ყველა 10 წლედი გადაკეთებული იქნა სპეცტეხნიკუმებად, ხოლო 7 წლედები — საქარხნო - საფაბრიკო სკოლებად.

ქალაქად არსებული სკოლები გადაიქცნენ ერთგვარ სკოლა - ქარხნებად, რომლებიც ინდუსტრიალურ მშენებლობას რაციონალურად მიაწვდიან კვალიფიციურ ახალ კადრებს. სოფლად არსებული სკოლები, ანუ სკოლა - კოლექტივები მოამზადებენ საშუალო კვალიფიკაციის აგრონომებს, მებაღეებს, მევენახე - მეღვინეებს, მესაქონლეებს, ტეხნიკოსებს და სხვ., რომელთა ცოდნის გამოყენება ხელს შეუწყობს სასოფლო-მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნას.

## მწერლები თავისთვის...

ამ უდიდეს მოვლენას და სოფლად და ქალაქად უკვე მომხდარ ჯერ გაუგონარ ძვრებს, რომელნიც ფესვიანად აჩანაგებს ძველ ადათებს, ქმნის ახალ ყოფას და საუკუნოებით წყვდიადში ჩავარდნილი გლეხობა გამოყავს კულტურულ ცხოვრების ასპარეზზე, სრულებით არ გამოხმაურებია ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა საბჭოთა მწერლების ფედერაცია.

იქმნება მკითხველთა ახალი მასა, ახალი ადამიანები, ახალ ქვეყნის მშენებლები. საბჭოთა მწერლების ფედერაციას კი არ სურს სიტყვით მაინც დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას ამ უდიდეს ამოცანის შესრულებაში.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარება, ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ არავის, მით უმეტეს მწერალთა ორგანიზაციას, არ ეპატიება გახ ხე დგომა.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების დასახმარებლად ჩატარებული იქნა ათდღიური, რომელშიაც უმნიშვნელო ორგანიზაციებმაც კი მიიღეს მონაწილეობა.

საბჭოთა მწერლების ფედერაციას ამ საკითხზე უბრალო მოხსენებაც არ მოუწვევია. ფედერაციამ ვერ მოახერხა მუშათა კლუბებში გაემართა შესაფერი სალამოები. სოფლად გაეგზავნა მწერალთა ბრიგადა, ან პრესაში მაინც გამოხმაურებოდა ამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს.

მწერლები თავისთვის არიან... არავინ იცის უხარიათ მათ თუ სწყინთ ის, რომ 2-3 წლის შემდეგ საქართველოში არ იქნება არც ერთი წერა - კითხვის უცოდინარი, არც ერთი ისეთი მოქალაქე, რომელსაც 9 წლედი მაინც არ ექნება დამთავრებული.

ეს სირცხვილია, სხვა არა იყოს რა!

**რაჟდენ გვეტაძე**

# თავდაცვის დეკადა



თბილისის თავდაცვა-ავიაქიმელების პრაქტიკული მუშაობა

# მომავლისათვის

როცა ლირიკულ
ყვავილებს კრეფდნენ
მე ტკბილ ოცნებას
შეუსიე გრიგალის ჯანყი,
ზოგიერთები თუ გულციდად
შემომეგებნენ—
მჯერა მიიღებს მებრძოლ ლექსებს
მშრომელი ხალხი.
როს გიგანტიურ ალმშენებელ
წლების გადალმა
ახალ ქარიშხლის მოწოდებით
დავიფარები
შანთით ამოვწვავ
სიყვარულის გრძნობის ნატამალს.
რომ ვერ მხიბლავდეს
მიბნედილი შავი თვალები.
მწამს გაიღიმებს მომავლის დარი,
გაბრწყინდებიან განთიადები
ჩემი ლექსები,
ხსოვნას მოწყდება
მიბნედილი ოცნება მთვარის
და წყეულ ნამყოს მყობადისკენ
გამოვექცევი.
შეისისხლხორცებს გმირულ განცდებს
დღენი ფოლადის,
როს ურიცხვ გეგმებს
წარმატებით დავაბოლავებთ.
გაიმართება
მშენებელი წელში მოხრილი
და პოეტებიც თავს დააღწევენ
მძიმე ოხვრიდან.
მოშაირენო,
კუს ნაბიჯით დროს ვერ გაასწრებთ,
გარდიჩეხებით,
უფსკრულიდან თავს ვერ დააღწევთ.
დაბრკოლებანი გაივლიან
გულის ბრაზიდით
და თქვენი ხსოვნაც
სასიკვდილოთ გაიბზარება.
თუმცა მაშფოთებს,
სევდას ვერ მომგვრის ძველი სამყარო,
ხან მომაკვდავი,
რომ გუგუნებს, ვით საყდრის ზარი,
მინდა ყვირილით თავზე რისხვა
გადავაყარო
და პოეზიით ამოვდაგო
დრო საზიზღარი.
ამ მიზნის გარდა
სხვა სიყვარული
ჩემთვის უცხოა,
თქვენ მტირალებო—
ეალერსეთ ყვავილებს, ბუჩქებს.
დიდ ბრძოლის გზაზე
ვდგევარ მტკიცე—
ფიქრშეუცვლელი
ამ ქარტეხილების
უვნებელად, რომ გადაურჩე,
ჩემს ლექსებს ახლავს
რევოლიუციის მხედრული გზნება
და მშენებლობის
ტემპებივით არის ცხოველი.
შრომის სამშობლო!
უდარაჯებს მცველ რაზმებივით
ცეცხლი არის
სიტყვა ყოველი.
რომ გვალვა დადგეს
და გრძნობების
ბაღი გადახმეს—
ახალ გრიგალის მოწოდებით
დავიფარები...
დე დროთა ბრუნვით
განადგურდეს
მავნე გადახრა—
პოეზიაში დიქტატურა
შავი თვალების.

კალე ბობოხიძე.



აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მექანიკოსი ამ. ხუნდაძე, რომელმაც გამოიგონა ახალი მანქანა რემიზკების დასამზადებლად



**ბათომი.** დაჭერილი თევზის დახარისხება „საქ. თევზის" საწყობში

# პაარტიიდან გამოდევნილ „თვალთმაქცების" ნაცვლად საუკეთესო დამკვრელი მუშები შედიან ლენინის პარტიის რიგებში



საუკეთესო დამკვრელი სუსები ამხ. კავალკოვსკი, ლობჟანიძე, მაისურაძე, გურეშიძე და კარაკაშევი.



№ 1 მეტ. ქარხნის 35 წლის სტაჟიანი მუშა დოლობაძე შედის პარტიაში.



ლითონ ტრესტის მუშა ამხ. ძახოვი, 35 წლის სტაჟით, განცხადება შეიტანა ლენინის პარტიაში შესასვლელად



26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშები შედიან კომპარტიაში



თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი"-ს დამკვრელი მუშებს უჯრედში შეაქვთ განცხადება



26 კომუნარის სახელ. მუშები ამხ. ზაკუტაშვილი და ხუპოვები.



კრუჩკოვი, ალაბაბოვი და იაკოვლევი ავტო-სახელოსნოს მუშები



№ 2 თამბაქოს ქარხნის მუშები განცხადებას სწერენ ბოლშევიკურ პარტიაში შესასვლელად.



ტრანს კავშირის მუშებ



ტყავეულობის ტრესტის მუშები



აბრეშუმის ტრესტის მუშები მესაბლიშვილი, მერმალინი და ბიტაევა



ამხ. ლოცაბიძე და პეტეროჟაკი ლითონ-ტრესტის მუშები



26-ის სახ. ქარხანამ წამოაყენა შემხვედრი საწარმოო - საფინანსო გეგმა სურათზე შემხვედრი გეგმის შტაბი დამკვრელ მუშების და ინჟენერ-ტეხნიკოსების წარმომადგენლებისაგან

# 1905 წელი ტფილისში

ცნობილია, რომ რუსეთის პირველი რევოლუცია 1905 წელს 9 იანვარს დაიწყო. ამ დღეს პეტერბურგის მუშები მშვიდობიანი დემონსტრაციით მივიდნენ მეფესთან თავისი მოთხოვნების წარსადგენად. მაშინ ჯერ კიდევ იყვნენ მუშებში ისეთები, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ მეფე მათ არ მოუსმენდა და ტყვიით და სისხლით გაუმასპინძლდებოდა. ამიტომ იყო, რომ ორასი ათასი მუშა ხუცეს გაპონის წინამძღოლობით, ხატებით და მეფის სურათებით მეფესთან მიდიოდა თხოვნით. და აი, ამ დღეს, 9 იანვარს ეს რწმენა დახვრეტილ იქნა პეტერბურგის ქუჩებზე... მაშინ დაინახეს ყველა მუშებმა, რომ მეფე მათი მოსისხლე მტერი ყოფილა.

მაგრამ 9 იანვრის ამბავს უშედეგოთ არ ჩაუვლია. ამ დღეს მომხდარმა უბედურებამ, შეანძრია მთელი რუსეთი. მას პასუხი გასცეს მუშებმა დემონსტრაციებით და გაფიცვებით.

ცხრა იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბების გამოხმაურება ტფილისში მოხდა 18 იანვარს. მუშაობა შესწყვიტეს რკინის გზის სახელოსნოს მუშებმა. მალე ამათ მიყვნენ კერძო ქარხნების და სტამბების მუშები. ოც იანვარს კი ეს გაფიცვა საერთო შეიქნა.

ოფიციალი მთავრობის ცნობა, რომელიც გადაცემულია საიდუმლოთ მთავარ მართებლის სამოქალაქო ნაწილის სამდივნოსადმი შემდეგნაირად აგვიწერს ამ გაფიცვის ამბავს: პირველ იანვრიდან აგენტებისაგან მიღებული ცნობების თანახმად, რკინის გზის მუშების მიერ გადაწყვეტილი იყო გაფიცვის დაწყება მანიფესტაციებით. ამის გამო 17 იანვარს პოლიციასთან დამოუკიდებლად მიღებული იყო ყოველი ზომა ჯარის მომზადებისათვის, რომ საჭირო დროს დახმარებოდენ ადმინისტრაციას არეულობის ჩასაქრობად.

18 იანვარს 1905 წელს დილიდანვე გაიფიცნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს მუშები. სახელოსნოდან გამოსულ მუშებს აზრათ ჰქონდათ გასულიყვნენ სადგურში და გზადაგზა მოეხსნათ სამუშაოდან მეისრენი და ვაგონების გადამბელები, მაგრამ რკინის გზის ჟანდარმებმა და წინა დღით სადგურზე დაყენებულმა ჯარისკაცების ორმა როტამ მუშების მსვლელობას გზა გადაუღობა და არ მისცა საშუალება გზა გაეგრძელებინათ. ბრბო გაიფანტა და არავითარი შეტაკება არ მომხდარა. ამავე დროს რამდენიმე მუშამ მოინდომა გაფიცვის მოწყობა მთავარმართებლის სამდივნოს სტამბაში, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და თავის დროზე შეჩერებულ იქნა „გოროდოვოების“ და [illegible]ზოვების შეწევნით. არეულობის მეტი შემთხვევა აღარ ყოფილა ქალაქში. გაფიცვაში ჯერ-ჯერობით მონაწილეობას იღებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მუშები, ყველა სტამბები და მექანიკური ქარხნები...

თვრამეტ იანვარს დაწყებული გაფიცვა, როგორც ვთქვით უკვე ოც იანვრისათვის საყოველთაო გაფიცვაში გადავიდა. 22 იანვარს გაფიცვა ძლიერდებოდა და უკვე 23 იანვარს დემონსტრაციაში გამოიხატა. შუადღის 12 საათზე, კვირას, 23 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე მანიფესტანტებმა აფრიალეს წითელი დროშა. პოლიციელებმა დროშის წართმევა მოინდომეს, მაგრამ დემონსტრანტებმა ერთი პოლიციელი დაჭრეს. დემონსტრანტები მალე გაფანტა პოლიციელთა დარაჯთა რაზმმა. მრავალი მანიფესტანტი დაიჭირეს. მოცვივდნენ ყაზახები, მაგრამ ხალხი უკვე დაფანტული იყო.

ოფიციალური ცნობით იმ დღეს საავადმყოფოში მიიყვანეს ათი დაჭრილი, ამათგან ერთი მძიმეთ. პოლიციის მხრიდან დაჭრილი აღმოჩნდა ოთხი, ამათგან ერთი მძიმედ. რამდენიმე მსუბუქად არის დაშავებული და გაკაწრული.

გაფიცვის და დემონსტრაციების ტალღა მოედო მთელ საქართველოს. ტფილისში მხოლოდ პირველ თებერვალს, ორი კვირის შეჩერების შემდეგ გამოვიდა ყველა ადგილობრივი გაზეთები და საერთოთ გაფიცვებიც შეწყდა.

1905 წელს ტფილისი, როგორც მუშათა ცენტრი, ხელმძღვანელობდა მოძრაობას არა მარტო საქართველოს ფარგლებით, არამედ ის იყო ტონის მიმცემი მთელ ამიერ-კავკასიაში.. ტფილისში ძლიერი რევოლუციონური განწყობილება იყო, არა მარტო მუშებში, არამედ მთელ მოსახლეობაში.

იანვრის გაფიცვების შემდეგ მოძრაობა ტფილისიდან გადავიდა სოფლად, მაგრამ ტფილისი მაინც არ ისვენებდა და ოფიცია-

ლური ცნობით,—რომელსაც გუბერნატორი აძლევს უმაღლეს მთავრობას,—ივნისის გაფიცვების შემდეგ ტფილისში ჩამოვარდნილი სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. თებერვლის მეორე ნახევარში მოძრაობა დაიწყო შეგირდებს შორის. ეს მოძრაობა გრძელდებოდა ერთ თვემდე, მეცადინეობა სწყდა თითქმის ყველა სასწავლებლებში...

ამავე ცნობიდან ვგებულობთ, რომ მარტის დამლევს გაიფიცნენ ვაჭრობებისა და მაღაზიების ნოქრები. ნოქრებმა მოიპოვეს უფლება საღამოს 6 საათზე ვაჭრობის შეწყვეტისას. ეს თანხმობა, რომელიც როგორც მოსალოდნელი, ისე მოვაჭრეების ძალიან აფერხებს—ახობამდე გრძელდება... ნოქრების გაფიცვას დიდმარხვის უკანასკნელ კვირაში ყელზე მოსამსახურეების გაფიცვა მოჰყვა...

აპრილის ბოლო რიცხვებში მიმდინარეობდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაფიცვა, მოძრაობა ერთხანად სრულად შეწყდა. ამ გაფიცვას თან სდევდა მთელი რიგი რკინის გზის მოსამსახურეებზე მოკვლის განზრახვით თავდასხმა და აგრეთვე იკვლელობაც. ამის შემდეგ უკანასკნელ ხანამდე კერძო გაფიცვები ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებში და სამთო დაწესებულებებში არ შეწყვეტილა...

აქ უნდა აღინიშნოს, რომ გაფიცვებში მონაწილეობას არ იღებდა რკ. გზის სახელოსნოების რუს-პატრიოტების ჯგუფი, რომლის რიცხვი 600-800-მდე აღწევდა. ესენი დარაზმულად გამოდიოდნენ რევოლიუციის წინააღმდეგ და მთავრობაც ხელს უწყობდა მათ.

20 ივნისს ტფილისში დაიწყო საერთო გაფიცვა. გაიფიცნენ სახელოსნოთა ყველა მუშები 600 რუს მუშებს გარდა. ამ გაფიცვამ გასტანა 30 ივნისამდე. „ამ გაფიცვას ოფიციალური ცნობის თანახმად—ჰქონდა წმინდა პოლიტიკური ხასიათი, არაფერი ეკონომიური მოთხოვნილება არ ყოფილა წამოყენებული.... ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო ნახსენებია იმავე დოკუმენტში—ქალაქი რამდენიმე დღე გაუნათებელი, უწყლოთ და ერთ დროს კინაღამ უპუროდაც კი დარჩა. გაფიცვის დროს, 23, 24 და 25 ივნისს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში, ბოროტ-განმზრახველებმა ისროლეს ხუთი ბომბა, რომელთაგან სამი გასკდა. ამ ბომბებით დაიხოცნენ: 2 კაზაკი, 1 „გოროდოვოი“, 1 მეეზოვე და ორიც გამვლელი კაცი. დაჭრილია მეექვსე უბნის ბოქაული, მისი თანაშემწე, უბნის ზედამხედველი, ორი მეეზოვე და 13 გამვლელი პირი. მსუბუქად დაჭრილები რეგისტრაციაში არ აგვიყვანია“.

ასე ჩაიარა ივნისის თვემ გაფიცვებით და ტერორისტული აქტებით. 25 სექტემბერს სამ-ოთხ ადგილას კაზაკების ყაზარმებში გადაისროლეს ყუმბარები, რომლითაც დაჭრილ იქნა 10-12 კაზაკი, რევოლიუციონერების მხრითაც მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი. ჰაერი გაჟღენთილი იყო ღელვარებით.

პირველი ეტაპი ტფილისში რევოლიუციონური მოძრაობისა თავდება 29 აგვისტოს კოშმარ ტრაგედიით. შემდეგი თვეები—ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში, ხასიათდება საერთო გაფიცვებით და შეიარაღებული აჯანყებით.

ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე უთვალავი ხალხი ესწრებოდა. ეს იყო 29 აგვისტოს (ძვ. სტ.). იყვნენ მუშები და პარტიების წარმომადგენლები. უთვალავმა ხალხმა მოიყარა თავი. იდგნენ კედლებთან, შემოსასვლელ კარებში, დერეფანში და უცდიდნენ [illegible] მოსვლას, ხოლო როცა მობრძანდნენ დასაჯდომი ადგილი ვერ ნახეს. ქალაქის თავმა წინადადება მისცა ხალხს დარბაზი დაეტოვებინათ, მაგრამ ხალხი არ დაიშალა. მაშინ ხმოსნებმა თვით მიატოვეს დარბაზი და როცა [illegible] გამოწვეული ხმოსანი [illegible] გავიდა კარებისაკენ—დარბაზიდან გაისმა: [illegible]! ხალხის თავისუფალი სიტყვა [illegible]! სირცხვილი...

ხმოსნების გასვლის შემდეგ, [illegible] ხალხმა თვით გახსნა კრება. მაშინ არ იცოდა ხალხმა, რომ ვერაგი თვითმპყრობელობის მოხელეები და მისი დამქაში ლიბერალი ხმოსნები, მას გასწირავდა. მალე დარბაზში პოლიციელი შევიდა, რომელმაც კრებას გამოუცხადა—„დაიშალენითო!“ მაგრამ ხალხი სრულიად არ დაიშალა. კრება გაგრძელდა. დარბაზში მალე კაზაკები შემოვიდნენ. მაშინ კრება [illegible], კარებისაკენ გაემართა, მაგრამ გარეთ გასასვლელი კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ხაფანგში დამწყვდეული ხალხი გასავალს ეძებს და მას ამ დროს ვერაგულად კაზაკები თოფს ესვრიან... ქუჩაში, ეზოში, დერეფანში—ყველგან სროლა და სისხლი...

ოთხმოცი წუთი გრძელდებოდა სროლა და კაზაკების თარეში.

მერე, როცა სროლა შეწყდა, ალაყაფის კარი გააღეს. ეზოში შემოვიდა საბარგო ავტომობილი და აჰკრიფეს დახოცილები და დაჭრილები.

ოფიციალური ცნობებით, რომელიც ცენტრარქივის საბუთებშია მოიპოვება, დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი და ვინაობა შემდეგ სურათს იძლევა:

„29 აგვისტოს მიხეილის საავადმყოფოში მოიტანეს 25 გვამი. ამის გარდა დაჭრილთა რიცხვიდან თვით საავადმყოფოში მოკვდა—ოთხი. 30 აგვისტოს მოკვდა—სამი, 31 აგვისტოს—ერთი, 1 სექტემბერს—ერთი და 2 სექტემბერს—ერთი. სულ მოკლულთა და გარდაცვლილთა რიცხვი 5 სექტემბრამდე უდრის—35-ს.

30 და 31 აგვისტოს ანატომიურ განყოფილების მიერ ხალხს ნებადართული ჰქონდა დახოცილთა დათვალიერება. ორი გვამი [illegible] აღმოჩნდა. მათში საავადმყოფოში ერთი უკვე მოკლული მოიყვანეს, მეორე კი (ორივე მამაკაცია) მოკვდა საავადმყოფოში 30 აგვისტოს“.

ამავე საქმეში მოყვანილია იმ დაჭრილთა სია, რომელნიც მოიყვანეს საავადმყოფოში 29 აგვისტოს. დაჭრილთა რიცხვი სამოცამდეა, ხოლო თუთხმეტი კაცი ამ დაჭრილებიდან, როგორც საბუთებიდან სჩანს, გადაიყვანეს სამხედრო საავადმყოფოში და შემდეგ [illegible] ამ გადაყვანილებიდან, [illegible] დაიღუპა და [illegible] გადარჩა. საავადმყოფოში გადაყვანილ იქნა კიდევ დაჭრილი პოლიციელი და ერთიც კაზაკი.

ასეთი მსხვერპლით დამთავრდა თბილისში აგვისტოს ტრაგედია.

საინტერესოა ამ ამბის შემდეგ დიდი იყო. არ [illegible] ამას არ [illegible] ქალაქის ხმოსნები, რომლებიც არ [illegible]. [illegible] როგორც ხმოსნები, ისე გაზეთები და თვით ქალაქის თავიც [illegible] გადადგნენ.

მუშებმა პირველი სექტემბერი საგლოვიარო დღეთ გამოაცხადეს და საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ქალაქში სიცოცხლე და ყოველი მოძრაობა შეჩერდა. დაიკეტა ყველა საკანტორები, რესტორნები, ქარხნები, მაღაზიები, სახელოსნოები, ტრამვაი და ფუნიკულიორი.

29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტას გამოეხმაურა პროვინციაც. ქუთაისში გაიმართა საყოველთაო გაფიცვა და დემონსტრაცია. გაფიცვები იყო სამტრედიაში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში.

პროლეტარიატი იარაღდებოდა. ახლოვდებოდა ოქტომბრის გაფიცვის დღეები და დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება...

დ. სულიაშვილი.



ოქტომბრის აჯანყების 7 წლის თავი ჰამბურგში. [illegible]

# შენიშვნები ზოგიერთ საკითხებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად მართალი იყო ამხ. ი. ბესპალოვი, როდესაც „პრავდა"-ს ერთ-ერთ ნომერში სწერდა: **„ჩვენი ლიტერატურის განვითარების ტემპები რომ მეტის მეტად ჩამორჩება სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპებს, სოციალიზმის შენების საქმეში, ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტია"**, თუ ამას ამხ. **ბესპალოვი** რუსულ პროლეტარული მწერლობის შესახებ ლაპარაკობდა ჩვენ ეს უცვლელად შეგვიძლია გავიმეოროთ ქართულ პროლეტარულ მწერლობის შესახებ, რომელიც კუდში მისჩანჩალებს სოც. რეკონსტრუქციის მაღალ ტემპებს.

ქართულ სინამდვილეში პროლეტარული მწერლობა საგრძნობლად ჩამორჩა ტემპებს და ვერ გახდა ორგანიული მონაწილე სოციალიზმის შენებისა ჩვენს სინამდვილეში. ეს ითქმის არა მარტო პროლეტარულ მწერლობის შესახებ, არამედ მთლიანად ქართულ მწერლობის შესახებ.

ქართული მწერლობა დღეს აბსოლიუტურად არაფერ ღირსშესანიშნავ ფაქტებს არ ჰქმნის და მწერლობის მთლიან ფრონტზე დღეს ყველა ჟანრებში კრიზისი დათარეშობს და მთელი რიგი მნიშვნელოვანი ჟანრები სიკვდილის პირზეა მისული. მაგალითად **ლირიკა დღის ქართულ მწერლობაში კრიზისს განიცდის, ასეთივე მდგომარეობაა პროზის დარგშიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროლეტარულ მწერლობის რამოდენიმე ნიმუშებს.**

პროლეტარულ მწერლობაში პროზა წინ მიდის, დღითი-დღე ძლიერდება მაგრამ სამაგიეროდ უკან იხევს და დგება კრიზისის წინაშე პროლეტარული ლირიკა.

ვერც ერთი პროლეტარული მწერალი ვერ იძლევა ლირიულ თაქტებში ჩვენი ცხოვრების ღრმა შეგრძნობას. არ არის ლირიკაში დამუშავებული მუშური თემატიკა, არ არის პროლეტ-ლირიკაში მოცემული განცდა სოც. საზოგადოების მშენებელ ენტუზიასტების განცდები, სუსტადაა ლირიკაში გადმოშლილი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესები, მოკლედ, ჩვენი მუშაობა ამ დარგში ძალზე სუსტია—აქედან **—დღეს, პროლეტარული ლირიკა აშკარა გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული—იგი კრიზის განიცდის.** ჩვენს სინამდვილეში პროლეტარულმა ლირიკამ ვერ აუღო ალღო, სოც. მშენებლობის თავისებურ სიძნელეებს.

კრიზისი ლირიკაში აუცილებლად გამოწვეულია, ჩვენი პოეტების არასათანადო შეფასებით. სოც. რეკონსტრუქციის სიძნელეები, რომელიც ჩვენს შეტევას ახლავს ამხანაგებმა ყალბად გაიგეს და მოყვენ წვრილ ბურჟუაზიულ და ობივატელურ წუწუნს.

პროლეტარულ მწერლის მახვილ თვალისათვის არ უნდა რჩებოდეს შეუმჩნეველი არც ერთი უბრალო დეტალიც კი, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგს ვხედავთ.

პროლეტარული მწერალი საუკეთესო დამკვრელი უნდა იყოს ტემპებში, როგორც პროლეტ. მწერალმა ამხ. **აბაშიძემ** სრულიად სამართლიანად შენიშნა:

**„დაილუპები—თუ გარჯის ნაცვლად**
**ჩაქრა მარჯვენის ჩქარი ბრუნება:**
**თუ ტემპში თვითონ დამკვრელი არ ხარ**
**თვით ტემპი დამკრავს განადგურებას".**

ჩვენი პროლეტარული მწერლობის ნაწილს განადგურება აუცილებლად ტემპებმა დაკრეს და ამიტომ არიან, რომ დღეს ბოლშევიკურ ტემპებს ვერ უსწორებენ ნაბიჯს და უკან მისჩანჩალებენ მას.

სიძნელეებმა, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პროლეტარულ მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩააგდო სასოწარკვეთილებაში და როგორ მოიქცნენ არ იციან—ჩვენ ვფიქრობთ კრიზისის საფუძვლები პროლეტარულ პოეზიისა აქედან იწყება, იმიტომ, რომ ჩვენი ეხლანდელი რეკონსტრუქციის პერიოდი ყველა ამხანაგმა თავისებურად გაიგო, რითაც სრულიად დაცილდენ სინამდვილეს. ფაქტიურად კი **„ჩვენი ეხლანდელი სიძნელეები წარმოადგენენ რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეებს... საქმე ეხება ჩვენი სიძნელეების განსაკუთრებულ ხასიათს. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი სიძნელეები წარმოადგენენ არა დაცემის ან მოდუნების სიძნელეებს, არამედ ზრდის სიძნელეებს, განვითარების, წინსვლის სიძნელეებს", ასე ლაპარაკობდა ამხ. სტალინი მე-16-ტე პარტყრილობაზე.**

ჩვენმა ამხანაგებმა ჩვენი სიძნელეები წარმოიდგინეს უკან დახევათ და მოდუნებათ, სწორედ ამ მდგომარეობამ თავისებური გამოხატულება ჰპოვა მხატვრულ მწერლობაში.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროლეტარულ მწერლების, რომლებიც ლირიკაში მუშაობდენ სხვა ჟანრებზე გადავიდენ.

პროლეტარული ლირიკა სოც. რეკონსტრუქციის პერიოდში განვითარების უმაღლეს მწვერვალზე უნდა ავიდეს და ბრძოლისა და მიღწევების ენერგიას უნდა გზავნიდეს ყოველი დამკვრელის, ყოველი მუშის არტერიებში. სინამდვილეში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროლეტარული მწერლებისა ლირიკაში ვერ იძლევიან ისეთ ფაქტებს, რომელიც კონკრეტულად ეხებოდის იმ საკითხებს, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგას. ზოგი ეხება მას, მაგრამ თემას აკლია დამუშავება. არ არიან ჩაწვდენილი ღრმათ მასში და არ იცნობენ სათანადოთ. სჯობს ვილაპარაკოთ კონკრეტული ფაქტებით.

ამხ. **კალე ბობოხიძეს** ჩვენ ვიცნობთ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო პროლეტარულ ლირიკოსს, მაგრამ დღეს მის შემოქმედებაში აშკარაა ზამთარია დამდგარი, რომელმაც იგი უშუალო კრიზისის წინაშე დააყენა.

**მხ. ბობოხიძის** უკანასკნელი ლირიული ფაქტები მიუხედავად აქტუალური თემისა, მაინც არაფერს არ ლაპარაკობენ მის წინსვლის შესახებ. ისეთი საკითხი როგორიცაა **„ვინ-ვის"**, რომელსაც პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და რომელიც მთელი სიძლიერით დგება ჩვენს წინაშე მაშინ, როდესაც გაათვთრებულ ბრძოლას ვაწარმოებთ კაპიტალისტურ ელემენტების და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ვახდენთ შეტევას გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე, საკითხი **„ვინ-ვის"** წინა პლანზე გამოდის და მას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. **ამხ. ბობოხიძემ** აიღო აღნიშნული თემა დასწერა მასზე ლექსი, მაგრამ მან ამ კითხვაში ვერ დაანახა ის, რაც მთავარია დღეს. საკითხი **„ვინ-ვის"** თუ წყვეტს საბოლაოდ ჩვენს გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე. ამხ. **ბობოხიძეს** ეს ასე არ ესმის და სწერს:

**როცა იზრდება კითხვები „ვინ-ვის";**
**და უდარაჯებთ ქუჩებს მზით ავსილს,**
**იერიშებით ჩაკლავს ტკივილებს,**
**ენტუზიაზმი მშრომელი მასის.**

ეს კუპლეტი შეგვიძლია ჩვენ მივიღოთ, როგორც ძლიერი ადგილი ამ ლექსში, რომელიც მაინც ვერ ხსნის შინაარსს იმისას თუ რაში გამოიხატება **„ვინ-ვისის"** მთავარი სოციალური ბუნება. თემები, რომელიც ბობოხიძემ აიღო სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდიდან, აგებულია ყალბათ, რომელმაც თავისებური გამოხატულება ჰპოვა მის მხატვრულ ფაქტებში.

**ამხ. ბობოხიძემ** რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეებს ჯერ კიდევ ვერ აუღო ალღო სათანადოთ. ამ მდგომარეობამ მასში გამოიწვია ერთგვარი მოთენთია და იგი გადახარა ლირიულ სიტკბოებისაკენ. მისი უკანასკნელი ლექსი **„მუშათა უბანში"** თვითკმაყოფილების და კაზიონშჩინის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

იქ ობივატელური ლირიული ამღერება ჩვეულებრივი გაცვეთილი რითმებითაა მოცემული, რომელიც დაცილებულია მუშათა საერთო თემატიკას, მის გაშლის დინამიურობას და იგი უდავოთ ასრულებს ვიწრო წრის ობივატელურ დაკვეთას.

მუშათა უბანი, რომელიც ჩვენი სიამაყეა, სადაც იზრდება ახალი თაობის საუკეთესო მშენებლები, ჩვენ მწერლობაში ჯერ კიდევ არაა სათანადოთ დამუშავებული, მუშური თემატიკა, რომელიც დღეის ასე სიძლიერით დგას ჩვენს წინაშე, ჩვენი ლიტერატურისათვის უცხო და ხელ-შეუხებელია.

ამხ. **ბობოხიძე**, როგორც ლექსის სათაურიდან ირკვევა სწერს ლექსს მუშათა უბანზე. საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ აითვისა მან ეს უბანი და რა ნახა იქ. სჯობს მოვუსმინოთ თვით ბობოხიძეს:

**ვილაც ატირებს გიტარას,**
**შორით ცა წყვდიადმა დანისლა**
**ბნელს უნდა მსხვერპლის მიტანა,**
**ძნელდება ალესა დანისა.**
**აქ მუშა შრომაში შეზრდილა,**
**და ლიანდაგი ხვეულა,**
**ცისტერნა გავსილა ბენზინით**
**და გაურუჯავს სხეული.**
**ჩვენ გვახსოვს სისხლიდან, რომ გვცლიდნენ**
**„ბედის უკუღმა ტრიალი"**
**სიბნელევ აწ უნდა მოგვცილდე**
**მანქანებს გააქვს გრიალი.**
**სიშორეს თვალები გაუძლებს,**
**ქარულა გარეკავს ბოლებს" და სხვა.**

სად არის აქ ნაგრძნობი მუშათა უბანი თავისი ცოცხალი მოძრაობით, ნუ თუ ამხ. **ბობოხიძემ** იქ ფეხის შედგმის უწინ მარტო გიტარის ტირილი მოისმინა? რატომ არ მოისმინა მან იქ შრომის რიტმი, შრომის სიმღერა, რომლის შესახებ ასე ბევრს ვიძახით? რატომ არ დაინახა ამხ. **ბობოხიძემ** იქ მუშა ლურჯ ხალათიანი, საუკეთესო ენტუზიაზმი, საუკეთესო დამკვრელი, რომელიც პრაქტიკულად იბრძვის სოციალისტურ საზოგადოებისათვის, მაგრამ ყოველივე ამის არ დანახვა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენი პროლეტარული მწერლები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან ჩვენი ცხოვრების დამკვრელ ტემპებს.

თემის და საერთოდ საკითხის ყალბათ გაგებას მწერალი მიყავს გადახრამდე ამხ. **ბობოხიძემ** მუშათა თემატიკის ყალბათ გაგებით და მისი არა **სწორი ათვისებით იმავე მუშურ** თემატიკაში გამოამჟღავნა **მთელი რიგი მემარცხენე ტენდენციები,** რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა. მაგ. ამხ. **ბობოხიძე** თავის ერთ-ერთ ლექსში სწერს: **„მუშათა შორის მე უმღერ მხოლოდ დაჩაგრულ ფეხებსო"**. რას ნიშნავს ყოველივე ეს? **თუ არა „მემარცხენეობას"**, რომელიც ასე მძლავრადაა ფესვ მოდგმული ამხ. **ბობოხიძის** შემოქმედებაში. საერთოდ როგორც ზევით აღვნიშნეთ ჩვენი მწერლობა ჩამორჩა რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებს, რომლის სანიმუშოთ **ჩვენ ბობოხიძე ავიღეთ**, მაგრამ ყოველივე ზემო-ნათქვამიდან არავინ არ უნდა მისცეს თავს იმის უფლება, რომ გამოიტანოს შემდეგი დასკვნა, **რომ დამკვრელ ტემპებს, მარტო ბობოხიძე ჩამორჩა, არა, ეგ შეცდომა იქნება, ტემპებს ჩამორჩა მთელი პროლეტარული მწერლობა.**

ჩვენ მაღალ ტემპებს აქვს თავისებური „საიდუმლოებანი", რომელიც ნაწილობრივ მხოლოდ რამოდენიმე პროლეტარულ მწერალმა გაიგო.

პროლეტარული მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს პოეზიაში თავისუფლათ შეგვიძლია ვთქვათ მთლიანად ამოიწურა, სამაგიეროთ მათი მუშაობა სხვა ფრონტზეა გადასული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს. რომ იმათმა პოეზიაში ყველაფერი გააკეთეს.

**როგორც ზევით ვწერდით, პროლეტარული ლირიკა დღეს კრიზისს განიცდის და იგი გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეულ.**

პროლეტარული პოეზია დღეს მხოლოდ რამდენიმე პირვნებას გააქვს მთლიანად,

მაგრამ არ კმარა მარტო ვიკითხო ამხ. ალიო მაშაშვილის რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული ლექსები, მისი მებრძოლი პათოსით სავსე სტრიქონები, ანდა იკითხო ამხ. ფრიდონ ნაროუშვილის რევოლიუციონური ენტუზიაზმით ანთებული პოემები, არ კმარა მარტო იკითხო და შეისწავლო ამხ. კაჭახიძის ლირიული ლექსების საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც ბრძოლისა და ხალისის ცეცხლს ანთებენ ყოველ მკითხველში ანდა იკითხო ამხ. ირაკლი აბაშიძის მეტად საინტერესო ლექსები, არამედ საჭიროა ყოველ მწერალმა ეცადოს ლირიკის საშუალებითაც პასუხი გასცეს რეკონსტრუქციის პერიოდის თავისებურებებს.

პროლეტარულ ლირიკამ უნდა შესძლოს ახალი ადამიანის, ჩვენი დროის გმირის ჩვენება ყველა წინააღმდეგობებით, მისი შინაგანი ფსიქიური განცდებით სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს ეს არ ხდება, რადგან სოციალისტურ შეტევის სიმძლავრეს ვერ უსწორებს ნაბიჯს ჩვენი პროლეტარული მწერლობა.

„ჩვენი პარტიის ლოზუნგი ბოლშევიკური შეტევა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუტიო კლასობრივ მტერს ყველა ფრონტზე და დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით უნდა უპასუხო“... ეს იმას ნიშნავს რომ ამოყარო ობივატელები ყველა იმ კუნჭულებიდან, რომლებიც ჩვენი მაღალი და გაშლილი ტემპების გამო ბნელ კუნჭულებში და სოროებში არიან შემალული“. მე-16 პარტყრილობის ეს ისტორიული გადაწყვეტილება ყოველივე მწერალმა უნდა გაიხადოს თავის შემოქმედებითი სახელმძღვანელოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ კეთდება. ზოგჯერ პროლეტარული მწერლები ვერ ხდებიან პარტის მოწოდების საუკეთესო შემსრულებელი, რაც მათ პოლიტიკურ სიჩლუნგეს და ცხოვრებიდან ჩამორჩენილობას უნდა მიეწეროს.

ამ მოკლე კონსპექტიური წერილში ჩვენ არა გვაქვს საშუალება დავახასიათოთ მთლიახად, თუ რა მდგომარეობაა პროლ. მწერლების სხვა ჟანრებში. ეს სხვა დროის და სხვა წერილის საქმეა.

ჯერ-ჯერობით ჩვენი დასკვნა კი ასეთია: პროლეტარულ მწერლობაში ლირიკა, როგორც ჟანრი, კრიზისს განიცდის, იგი ჩამორჩა და უკან მისჩანჩალებს რეკონსტრუქციის მაღალ ტემპებს, (არავინ არ იფიქროს, რომ ვითომდა სხვა ჟანრები გარკვეულ პასუხს იძლევიან სადღეისო ამოცანებზე. კ. მ.). იგი ვერ პასუხობს ჩვენი ეპოქის სოციალურ დაკვეთებს.

ვფიქრობთ, მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ ჩამოვრჩით ტემპებს. ეს ბოლშევიკურად უნდა ვაღიაროთ, მიუხედავად იმისა რომ ჩამორჩენილობის ფაქტის წინაშე ვდგევართ ჩვენ მაინც გვიყვარს ძახილი.. ჩვენ წინ მივდივართ და სხვა და, ბიზიმენსკის თქმის არ იყოს, ბოლოს და ბოლოს გამოდის, რომ „ჩვენთან ყველაფერი თავის რიგზეა“, მაგრამ საქმე ასე არ არის. საჭიროა ლიტერატურული ფრონტზე მეტი მუშაობა, კერძოთ ლირიკის დარგში. პროლ. მწერლებმა. მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ. ჩვენ კი უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარი ჩამორჩენილობის და უკიდინარობის წინააღმდეგ.

დროა ცოტა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ჩვენ წინ მივდივართ, ტემპებში დამკვრელი ვართ და სხვა, არამედ სჯობს, რომ საქმე პრაქტიკულად ვაკეთოდ, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ამხ. ლენინის შემდეგი თქმა: „ცოტაა უწოდო შენ თავს ავანგარდი-მოწინავე რაზმი, საჭიროა იმოქმედო ისე, რომ ყველა დანარჩენები ხედავდენ, რომ ჩვენ მივდივართ წინ“. ამას პროლეტარული მწერლობა შესძლებს ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერებით, კლასობრივი ალღოს სათანადოდ გამახვილებით და ძალთა კონსოლიდაციით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ ჰეგემონიის მწერვალების დაპყრობას, რომელიც შედეგი იქნება ხანგრძლივ შრომისა და ხანგრძლივ ბრძოლის.

კ. მელაძე.



**საყოველთაო სავალდებულო სწავლება.** რაიონიდან ჩამოსული კომკავშირელი იღებს ა.ლ.კ.კ ც. კ-ში სასწავლო ნივთებს.



მოსწავლე ქალი კამოს სახელობის საფ. საქ. სკოლაში სწავლობს ხარატობას



ოქტომბრის 13 წლის თავთან დაკავშირებით მთელ რიგ საწარმოებში მოეწყო დამკვრელი ბრიგადები



წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია მუსულმან ქალებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვრული პროზის საკითხები*)

ეროვნული ბიბლიოთეკა
14

ხელოვნებაში და კერძოთ პროზაში მთავარია არა საგნები, ან და ხერხები, არამედ ადამიანის მოქმედება და ცხოვრების ცოცხალი პრაქტიკა. ამ ნიადაგზე **ხელოვნება არის გარკვეული სახის იდეოლოგია, რომელსაც სისტემაში მოჰყავს გრძნობა, გონება და ხასიათი**. ამიტომ მწერალმა გარეში მოვლენები უნდა აითვისოს **ადამიანის გრძნობადი მოქმედების ფორმაში**, ის უკანასკნელი კი საგნებით ეწინააღმდეგება. როგორც პოტებნიას, ისე შკლოვსკის ხელოვნურად შექმნილ თეორიას ხელოვნების სპეციფიური ბუნების შესახებ.

ჩვენ წინაშე ვართ ორგვარი გადახრის: როდესაც ლიტერატურული გმირი მოცემულია მხოლოდ უარყოფითად, ან და დადებითად. ორივე შემთხვევაში მწერალს ეკარგება ობიექტივის საზღვარი და მხატვრული ფაქტი მექანისტური ხდება. პროლეტარული მწერლისათვის სრულიად მიუღებელია, როგორც პესიმიზმი, ისე „კაზიონური" ოპტიმიზმი.

დადებითი ტიპის მოცემა უარყოფით ტიპთან ბრძოლის პროცესში—დადებითი ტიპის უარყოფით თვისებებთან გათვალისწინებით. პროლეტარული ლიტერატურის სათქმელია ეს უკანასკნელი თავისში იტევს—მომქმედ ადამიანის ცოცხალ ათვისებას, მის დასრულებულ ყალიბში მოცემას და რაც მთავარია ჩვენი ეპოქის ყველაზე საინტერესო საკითხებს.

სწორედ ამიტომ იმარჯვებს **ერენბურგის** „ჩინური ნოველები" და **პანფეროვის** „ბრუსკი". მაგრამ შორსა ვართ იმ გაგებიდან, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პროზის ნიმუშებს—პროლეტარული ლიტერატურის მთავარ გზათ აცხადებენ. (ბიკი, ტოომი) ჩვენ დროში შეუძლებელია რომელიმე მხატვრული ფაქტი გახდეს პროლეტარული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ ხაზის მაჩვენებლად. რადგანაც ამ უკანასკნელის მთავარობას ასრულებს არა რომელიმე ავტორის კარგი ნაწარმოები, არამედ პროლეტარული რეალიზმი, რომელიც ერთად-ერთი და ამასთან ერთად მთავარი გზაა ხელოვნების განვითარებისა. ამიტომ შემცდარია ამხ. ფადეევი, როდესაც ცდილობს მოძებნოს განვითარების მთავარი გზა. ასეთი გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. პროლეტარულმა ლიტერატურამ ცოცხალი პრაქტიკით, ექსპერიმენტებით და არა გონებაში წარმოდგენით—უნდა მოძებნოს ასეთი მაგისტრალური ხაზი. სწორედ ამ პირობათა გაუთვალისწინებლობამ ამხ. ფადეევი მოამწყვდია ჩიხში. ჯერ კიდევ რამოდენიმე ხნის წინად თითქოს ლიტერატურული „კლასიციზმის (რომანტიული გაგებით) დასაძლევად საჯაროდ დაიძახა. „ძირს შილერით", მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ იყოს ტოლსტოის ეპიგონი.

არ არის მართალი ამხ. **ერმილოვი**, როდესაც „ცოცხალი ადამიანის", „ფსიქოლოგიზმის", „უშუალო შთაბეჭდილების", „მოქმედ თვითანალიზის" და სხვა შემოქმედებითი ლოზუნგებით **ცდილობს პროლეტარული პროზის რენესანს**. ი. ლიბედინსკის „გმირის დაბადებამ" დაამტკიცა, რომ ერმილოვის თეორეტიული გეგმა უძლურია პროლეტარული პროზის შექმნისათვის.

*) დასასრული. იხ. „დროშა" № 21.

ამ მხრივ ყველაზე კარგი ექსპერიმენტები მოგვცეს თ. გლადკოვმა „ცემენტით", სერაფიმოვიჩმა „რკინის ნიაღვარით" და ფადეევმა „განადგურებით". თუმცა ჩამოთვლილ მხატვრულ ფაქტებში ბევრია სრულიად ზედმეტი ადგილები, მაგრამ არსებითად იძლევიან პროზის განვითარების ახალ გზებს. ამ გზებთან არის დაკავშირებული—ახალი ლიტერატურული მოძრაობა პროზის დარგში. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა ერენბურგის „ჩინური ნოველები" პანფეროვის „ბრუსკი", ლიბედინსკის „გმირის დაბადება", ჩუმანდრინის „რაბლეს ფაბრიკა", ბოგდანოვის „პირველი ქალი", შოლოხოვის „წყნარი დონი" და მთელი რიგი ღირსეული და საყურადღებო ფაქტები.

ამ მხრივ ქართული პროლეტარული პროზა ღარიბია. ექსპერიმენტები, რომელიც ხშირად ლიტერატურულ მოძრაობად იქცევა—ქართულ ლიტერატურაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ჩაკლულია. ტრადიციით ყოფნამ შექმნა ნიადაგი პროზის კრიზისისა და ამ კრიზისის ჩრდილში—ექსპერიმენტით შეუძლებელია შემოქმედებითი მცდელობების დაკავება.

ექსპერიმენტების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟანრების საკითხს. არის მთელი რიგი ჟანრები, რომლებიც პროლეტმწერლების მიერ სავსებით მივიწყებულია, და ამ ნიადაგზე ასეთ ჟანრების მომქმედ მხარეს ისევ ჩვენი მოწინააღმდეგენი ავითარებენ.

ასეთია **ნოველა***), რომელიც თავისი მხატვრულობით გაცილებით მაღლა სდგას ნარკვევებზე და ამავე დროს მას შეუძლია მიჰყვეს სოციალისტური მშენებლობის აჩქარებულ ტემპებს.

ერენბურგის „ჩინური ნოველები"—ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, რომ ნოველა უნდა იქცეს მომქმედ, აქტიურ ჟანრად. პროლეტმწერლებმა დროზე უნდა მოკიდონ ხელი ლიტერატურის ამ საუკეთესო დარგს.

პროზის დარგში საუკეთესო ცდები მოგვცეს ნ. ლორთქიფანიძემ და ი. პოლუმორდვინოვმა: რადგანაც ჩვენი წერილის მიზანია ახალგაზრდა პროლეტ-პროზაიკების მხატვრული პრაქტიკის ზოგიერთი მხარეების შეფასება, ზემოდ დასახელებულ მწერლებზე აღარ შევჩერდებით.

ახალგაზრდებს შორის ყველაზე საუკეთესო პროზაიკი **ბ. ჩხეიძეა**. მისი „დღეები" გვაძლევენ საბუთს ვილაპარაკოთ ავტორის კარგ მომავალზე. ჩხეიძის ეხერხება სოციალურ ტილოებზე მუშაობა. მისი თემატიური ფარგალი სცილდება ჩვეულებრივ ზომას. მხატვრული ადგილები, მასალის გათორმება ზოგან გასაოცარ სიმაღლეს აღწევს. მაგრამ ჩხეიძეს აქვს თავისებური ნაკლები, რომელსაც დროზე სჭირდება გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში—დროთა მანძილზე ეს ნიჭიერი პროზაიკი ფაქტების რეგისტრატორად იქცევა. უკანასკნელ მხატვრულ ფაქტში („მახლობლებში") ავტორმა შეჰქმნა საგნების აღწერილობითი ფეტიშიზმი. იქ, სადაც საჭიროა ტიპების მოქმედება—ჩხეიძე კმაყოფილდება გაჭიანურებული დიალოგებით, სადაც კონკრეტულობის დაცვა საჭირო—იქ დიალოგი გრძელდება. ეს ტენდენცია სახიფათოა პროზაიკისათვის. „მახლობლებში" ხშირად თავს იჩენს მეხანიზმი. ადამიანების ნაცვლად მოქმედებენ მოფიქრებული სქემები. ინტიმური ხასიათის ჩვენების მაგიერ—მხოლოდ მოვლენის გარეგანია მოხაზული. არ უნდა დავივიწყოთ ერთი: გადმოცემა იმის, რასაც გრძნობენ და განიცდიან ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები—პროზის პირველი ამოცანაა. ბორისი ამ ფაქტს აუცილებლად უნდა დაუფიქრდეს.

**პანტელეიმონ ჩხიკვაძის** „სართულები" თავისებურად კარგი ნაწარმოებია. ერთის მხრივ იმიტომ, რომ ის საწარმოო ცხოვრების თემაზეა გაშლილი და მეორეს მხრივ საინტერესოა კონფლიქტებით, ადამიანების ინტიმური ხასიათების გამომჟღავნებით და ტიპების დასრულებული მოცემით. ავტორს კარგად აქვს გამოყენებული კონტრასტების მეთოდი და ამიტომაც მოთხრობის სწორედ ეს მხარეა საყურადღებო.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ მიუთითოთ ზოგიერთ ნაკლებზე. ზოგიერთი თავების და დეტალების განვითარება ლოგიკურად არ არის დაკავშირებული ნაწარმოების მთავარ იდეასთან. თანმიმდევრობა პროზაში მთავარია. ზოგიერთი უარყოფითი ტიპები ახალ მკითხველში ხშირად სიბრალულს იწვევენ; ეს კი პირიქით უნდა ხდებოდეს. ლუარას შინაგანი სამყაროს მოცემისათვის არ კმარა მისი ობივატელური ბუნების გამომჟღავნება, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ადამიანის და არა ხასიათების კომბინაცია.

სასამართლოში, მიუხედავად მთელი რიგი კარგი სცენებისა—ადგილი აქვს გულუბრყვილობის გამომჟღავნებას ავტორის მხრივ, რაც იწვევს ფსიხოლოგიურად გაუმართლებელ სცენების ჩვენებას. მაგ. მე-XIV თავში მთლიანად ყალბადაა მოცემული სასამართლო-გამოძიების პროცესი. გამომძიებლის შეკითხვაზე მელიქოვი (კაცს, რომელსაც არ სურს ივანოვის გამომჟღავნება) უპასუხებს: **„უკაცრავად... რაღაც ცუდათ ვგრძნობ თავს და, თუ შეიძლება შემდეგისათვის გადადვით დაკითხვა"**. მთლიანად ყალბია და „კაზიონური" ეს ადგილი. რადგანაც ეს სიტყვები ფაქტიურად მწერალს ეკუთვნის და არა მომქმედ ტიპს. როგორ შეიძლება ამ უბრალო შეკითხვაზე დაიბნეს ისეთი გაქნილი, გაიძვერა და მაცნებელი კაცი, როგორიცაა მელიქოვი?! ეს ფსიხოლოგიის ელემენტარული კანონების გაყალბებაა.

ჩხიკვაძე „სართულებში" იცავს ჟარგონს, კუთხურ დიალექტს, რასაც დისჰარმონია შეაქვს მთლიანად მოთხრობაში. ჟარგონის დაცვა მხატვრულ ფაქტში—წარსულ ლიტერატურის ყველაზე ცუდი ტრადიციაა. ამიტომ პროლეტ-მწერალი პირველ რიგში უნდა ებრძოდეს ამ ტენდენციას. კუთხური დიალექტის ნაცვლად პროზაში და საერთოდ ხელოვნებაში უნდა გაბატონდეს პროფესიონალური ლექსიკონი. ამას მოითხოვს ენის სიწმინდე და მშრომელი ხალხის ინტერესები.

პ. ჩხიკვაძე ხშირად მიმართავს გაზვიადე-

*) ზოგიერთი კრიტიკოსი ნოველას წმინდა სიმბოლისტურ ჟანრად ნათლავს. ეს შეცდომაა. რადგანაც ჟანრი არ შეიძლება გახდეს რაიმე მიმართულების მსოფლმხედველობად. საერთოდ კი ახალ ნოველიდან უნდა განიდევნოს სიმბოლიზმის ტრადიციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



26-ის სახ. ქარხანა ამზადებს საბჭოთა კავშირის აბრეშუმის მრეწველობისათვის დაზგებს



26-ის სახ. ქარხანა. კოლხელშეკრულებაში შესატან მუშათა წინადადებების განხილვა



26-ის სახ ქარხნის საუკეთესო დამკვრელები: კოვალკოვსკი, ლობჟანიძე, მაისურაძე, გურეშიძე და კარაკაშევი.



26-ის სახ. ქარხანამ მიიღო დიდი შეკვეთა აბრეშუმის პარკის საშრობებ-ს დამზადება საბჭოთა კავშირის აბრეშუმის მრეწველობისათვის

ბულ ჰიპერბოლას. მაგ. „ღამე მოკვდა ტფილისში“ და სხვა. ეს ცრუ ოპტიმიზმია, ყოველგვარ რეალობას მოკლებული. ავტორს აქვს ტრაფარეტული, შაბლონური სახეები. მაგ. „მზე გადაგორდა „ცხრა მთას“ გადაღმა“. ეს ბავშური გულუბრყვილობაა. შეუძლებელია მზის არამც თუ ცხრა მთას იქით გადაგორება, არამედ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი. ასეთ ყალბ და გაუმართლებელ სახეებთან ბრძოლა აუცილებელია.

„სართულებში“—სუსტია ქარხნის მუშათა კრების მოცემა. რა საჭიროა კრების აღწერას მწერალმა მოანდომოს 16—17 გვერდი, როდესაც მისი უკეთესი მოცემა შეიძლება 2—3 გვერდზე. ბევრი „ლაი-ლაი“ და გაჭიანურებული „გალობა“ პროზას ავნებს.

საერთოდ კი „სართულები“ უეჭველად მნიშვნელოვანი მხატვრული ფაქტია.

**ა. ჩაჩიბაია** ახალგაზრდა პროზაიკებში ერთ-ერთი უნარიანი ძალაა. ჩაჩიბაია უმთავრესად ნოველებზე მუშაობს და გულწრფელად უნდა განვაცხადოთ, რომ ბევრი კარგი ნაწარმოები შემატა პროლეტ-ლიტერატურას. უკანასკნელი მხატვრული ფაქტი ამტკიცებს, რომ არჩილ ჩაჩიბაია საკმაოდ ძლიერ ექსპერიმენტებს აკეთებს პროზის დარგში. ის ცდილობს ნოველაში შეიტანოს მეტი სიცოცხლე, მოძრაობა და ხალისი. საერთოდ ექსპერიმენტებს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც თვითონ ობიექტიური პირობები მოითხოვს ამას. ეს პირობები დღეს უკვე არის; საჭიროა მხოლოდ სასურველისათვის ბრძოლაში ავტორის დავეხმაროთ.

ჩაჩიბაიას უეჭველად ბრძოლა დასჭირდება სიმბოლიზმის ტრადიციებისა დასაძლევად. სავსებით უნდა მოიშალოს მოპასანისებური ნოველების ხერხემალი, სიყვარულის და სხვა წვრილმან ამბების ნაცვლად უნდა დაკანონდეს სოციალური მოვლენები და ადამიანის გრძნობების გამომჟღავნება ამ მოვლენებისადმი.

**მ. გვასალია** თავისებური განხრის პროზაიკია. „ჩამქრალ კერაში“ ეს განხრა თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც გამოაშკარავა.; გვასალიას ეხერხება გმირებისა და მოვლენების მოცემა კონტრასტების მეთოდით, ამიტომ ავტორი ხშირად სრულიად უბრალო ფაბულით—საინტერესო მხატვრულ ფაქტს ქმნის. ეს უეჭველად ზრდის ნიშანია. გვასალიას სხვებთან შედარებით აქვს დახვეწილი ფორმა. „ჩამქრალ კერას“ ავტორს, ისე, როგორც ჩაჩიბაიას—დასჭირდება ბრძოლა სიმბოლიზმის ტრადიციებთან.

**მ. ჩიქოვანი** ნარკვევებში უფრო მეტ ნაყოფიერებას იჩენს, ვიდრე მოთხრობებში, საერთოდ კი მისი მხატვრული ფაქტები ძლიერ სუსტია. ხშირად ჩიქოვანს მოთხრობებში ავიწყდება ნაწარმოების აგების ელემენტარული კანონები. მის მხატვრულ ფაქტებს ატყვიათ მოუმზადებელი ავტორის ხელი. სიცოცხლე, ტემპი და დინამიკა.—მისთვის უცხოა, რომლის გარეშე ახალ პროზაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ ფაქტზე აუცილებლად უნდა დაფიქრდეს ჩიქოვანი.

პროზაში შედარებით ნაყოფიერად მუშაობს **ა. გოცირიძე.**

ასეთია ახალგაზრდა პროზაიკების მხატვრული პრაქტიკა.

საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა: ახალი პროზის სოციალური ხერხემალი მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის ფონზე გაშლილი თემატიკაა—საწარმოო განხრით. დღემდის ჩვენ არა გვაქვს პროზის არც ერთი ნიმუში („სართულების“ გამოკლებით), რომელიც მუშათა ყოფა-ცხოვრებას ეხებოდეს. ასეთი გაძევება საწარმოო ცხოვრებიდან პროზისათვის უეჭველად საზიანოა, რადგანაც ყველაზე მდიდარი საწარმოო ლექსიკონის უქონლობა პროზას აშორებს განვითარების ტემპებს.

**დ ბენაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მსხვერპლად მუშების სიცოცხლე კაპიტალისტების მოგების გასადიდებლად





მაღარო „ვილჰელმში" ალსდორფში (გერმანია) მოხდა მგრგვინავი გაზის აფეთქება. 200 მეტრის სიღრმეზე დაიღუპა ასეული მუშა.

ლანდტაგის კომფრაქციამ ერთი თვის წინად აფეთქებამდე აღნიშნა მაღაროში აუარებელი რაოდენობის გაზის დაგროვება და შრომის დაცვის ელემენტარული წესების უქონლობა. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტებმა არ მოისურვეს ამ გაფრთხილების მოსმენა — მათთვის მოგება უფრო მეტი ღირს, ვიდრე მუშის სიცოცხლე.

სურათებზე—დახოცილი მუშები ამოყავთ თხრილებიდან და სანიტარებს მიაქვთ დახოცილთა გვამები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგაზ. გამომც. სტამბა „კოლექტივი“. ტფილისი, კამოს ქ. 68. მთავლიტი № 2100, ტირაჟი № 6250 შეკვეთა № 3572